მერი პოპინსი

სამზარეულოში

დიოგენე

პ. ლ. ტრავერსი

მერი პოპინსი სამზარეულოში

სამზარეულო წიგნი
ზღაპრით



პ. ლ. ტრევერსი
მერი პოპინსი სამზარეულოში

P. L. Travers
MARY POPPINS IN THE KITCHEN

ინგლისურიდან თარგმნა ია კოროშინაძემ

ილუსტრატორი მერი შეპარდი

© 1975 by P. L. Travers
Illustrations © 1975 by Mary Shepard Knox
Hand-tinted Illustrations copyright © 2006 by Harcourt, Inc.
All rights reserved.

წიგნი გამოიცა გამომცემლობა „პალიტრა L-თან“ თანამშრომლობით.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2022
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-702-2

www. diogene. ge

მეორე ფიფქი

ხამხაროვეულოში

ᲙᲕᲘᲠᲐ ᲓᲦᲔ ᲘᲧᲝ. ᲐᲚᲣᲑᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲐᲮᲚᲘ ᲩᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲛᲖᲘᲡ ᲡᲮᲘᲕᲔᲑᲨᲘ ᲗᲕᲚᲔᲛᲓᲐ, ᲒᲐᲠᲓᲐ ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢᲘ ᲜᲝᲛᲠᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲮᲛᲐᲣᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲪᲘᲚ-ᲙᲘᲡᲙᲘᲡᲘᲡ ᲡᲣᲚ ᲒᲐᲛᲝᲔᲤᲮᲘᲖᲚᲔᲑᲘᲜᲐ. ᲘᲛ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲛᲘᲡᲢᲔᲠ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘᲖ ᲑᲔᲜᲥᲡᲔᲑᲘ ᲩᲐᲘᲡ ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲡᲕᲐᲛᲓᲜᲔᲜ, ᲯᲔᲘᲜᲗᲐᲜ, ᲛᲐᲘᲙᲚᲗᲐᲜ, ᲯᲝᲜᲗᲐᲜ, ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲜᲐᲑᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ.

ᲣᲪᲔᲑ ᲙᲐᲠᲘ ᲒᲐᲘᲦᲝ, ᲝᲗᲐᲮᲨᲘ ᲛᲖᲐᲠᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲘᲖ ᲑᲠᲘᲚᲘ ᲨᲔᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲓ ᲓᲐᲧᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲐᲘᲗ ᲡᲐᲕᲡᲔ ᲩᲐᲘᲓᲐᲜᲘ ᲨᲔᲛᲝᲘᲢᲐᲜᲐ.

– ᲗᲥᲕᲔᲜᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲗ, ᲛᲔᲛ, ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲘᲗᲮᲠᲐᲗ, – ᲗᲥᲕᲐ ᲓᲐ ᲩᲐᲘᲓᲐᲜᲘ ᲓᲐᲓᲒᲐ, ᲛᲔᲠᲔ ᲯᲘᲑᲘᲓᲐᲜ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲐ ᲐᲛᲝᲐᲫᲕᲠᲘᲜᲐ.

„ᲜᲔᲢᲐᲕ ᲪᲣᲓᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲧᲝᲡ!“ – ᲒᲐᲘᲤᲘᲥᲠᲐ ᲛᲘᲡᲘᲖ ᲑᲔᲜᲥᲡᲛᲐ. „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ“ ᲐᲕᲘᲡᲛᲝᲛᲐᲡᲬᲐᲕᲔᲑᲚᲐᲓ ᲟᲦᲔᲠᲓᲐ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲮᲔᲓᲐ ᲔᲭᲕᲘᲗ ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲐᲡ.

– ᲩᲔᲛᲘ ᲫᲛᲘᲡᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲐᲢᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲘᲡ ᲝᲗᲮᲘᲕᲔ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲬᲘᲗᲔᲚᲐ ᲨᲔᲰᲧᲠᲘᲐ. ᲰᲝᲓᲐ, ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲔᲮᲛᲐᲠᲝ, – ᲗᲥᲕᲐ ᲛᲘᲡᲘᲖ ᲑᲠᲘᲚᲛᲐ.



– ოჰ, არა! – შეჰკივლა მისიზ ბენქსმა. – ყველაფერი ერთდროულად რატომ უნდა მომხდარიყო? ელენს ისევ სურდო აქვს და მკურნალობს, მე და მისტერ ბენქსი კი ერთი კვირით ბრაიტონში მივემგზავრებით. გაიგონე, ჯორჯ? – მიუბრუნდა ქმარს. – მისიზ ბრილი აუცილებლად უნდა წავიდეს. რა უნდა ვქნათ? სადილს ვინ მოამზადებს?

მისტერ ბენქსი, რომელსაც ზურგზე ჯონი და ბარბარა შემოესვა და იატაკზე ოთხით დადიოდა – ვითომ სპილო იყო, ხვნეშა-ხვნეშით წამოდგა.

– მერი პოპინსს სთხოვე, – უთხრა ცოლს, – რაღაცას მოახერხებს.

– ნეტავ მზარეულობა თუ შეუძლია? – მოთქვამდა მისიზ ბენქსი. – საუზმისა და ვახშმის მომზადება ძნელი არ არის, მაგრამ სადილს რას უზამს?

– ჰმ! – კარის მხრიდან ნაცნობი ხმა მოისმა, რასაც ფრუტუნი მოჰყვა.

– რა თქმა უნდა, სადილის მომზადებაც შეუძლია, – თქვა მისტერ ბენქსმა. – მერი პოპინსისთვის შეუძლებელი არაფერია. ხომ ასეა, მერი პოპინს?

ის მეტად ტაქტიანი ბატონი ბრძანდებოდა.

მერი პოპინსმა თავი გააქნია და გამოაცხადა:

– მე მხოლოდ ორი ხელი მაქვს და ორივე დაკავებულია!

ხელში ანაბელი ეჭირა, ჯონი და ბარბარა კი ფეხებზე ეკვროდნენ.

– ჩემსას გათხოვებთ, – უთხრა ჯეინმა, – და ორი წყვილი გექნებათ.

– მეც გათხოვებთ ჩემს ხელებს, – შესძახა მაიკლმა. – მოგეხმარებით. ძალიან მინდა, საჭმლის მომზადება ვისწავლო.

– მეც, – თქვა ჯონმა.

– მეც, – გაიმეორა ბარბარამ.

– მერი პოპინს, თავს გაართმევთ? კები წუთით-წუთზე მოვა. იქნებ გამოძახება გავაუქმოთ? ოჰ, ღმერთო, ღმერთო!

– როდის გამიცრუებია იმედი თქვენთვის? – მედიდურად იკითხა მერი პოპინსმა.

– ოჰ, არასდროს, არასდროს! – შესძახა მისიზ ბენქსმა. – უბრალოდ, ვიფიქრე... ისედაც ბევრი საქმე გაქვთ და... რობერტსონ ეისაც იშვიათად ღვიძავს... ვერავინ დაგეხმარებათ.

მერი პოპინსმა ქედმაღლურად გაიღიმა.

– მეგობრები და ნათესავები მყავს, და სამზარეულო წიგნიც მაქვს!

– კარგი, თუ ფიქრობთ, რომ შეძლებთ... – მისიზ ბენქსმა შვება იგრძნო, სკამი უკან გასწია და წამოდგა. – წავალ, ჩემოდანს შევკრავ.

– ძალიან კარგი! შეგვიძლია, ეს საქმე მერი პოპინსს მივანდოთ, – თქვა მისტერ ბენქსმა, კიდევ ერთი ფინჯანი ჩაი დაისხა, ნაჩქარევად დალია და ქვემოთ ჩავიდა.